ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის

საკრებულოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

2. ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის მორიგი სხდომის
ოქმი N 12

2021 წლის 05 ივლისი

დაბა ხარაგაული
9 აპრილის ქუჩა
#15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზი ფხალაძე აკაკი ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, , ზურაბ ხაჩიძე, , აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, სულ 24 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი– მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს რედაქტორი,

ე. შავიძე-ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს დირექტორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

2 ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს ნინო მაღლაკელიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო24 წევრი

მომხრე24

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე და სამსახურის საქმიანობა შეფასდა დადებითად
გ. თხელიძემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების სხდომაზე , სადაც მოწვეული იყო სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, რომელთა მიერ გაეცა პასუხები კომისიის წევრთა შეკითხვებს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მერის პირველ მოადგილეს ვ. ჭიპაშვილს მაღალ დონეზე აქვს აყვანილი კომისიის საქმიანობა, ცხადია ყველაფერი ისე ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში კარგად მუშაობს სამსახური აქედან გამომდინარე კომისია შემოდის წინადადებით , სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი 1 მლნ. ლარი სრულიად არ არის სატრაბახო, მე მერჩივნა მოქალაქეებს თვითონ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ ყველა პრობლემის მოგვარება, მან განმეორებით დააყენა საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლის ამბულატორიის ექიმებისათვის ხელფასების მატების შესახებ და ასევე მოითხოვა ხარაგაულის საავადმყოფოში გინეკოლოგიური განყოფილების აღდგენა.
ნ. კიკნაძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ საექიმო ამბულატორიების ექიმების ხელფასები ჩვენ დაქვემდებარებაში არ არის , ჩვენ გვაქვს ვალდებულება მედიკამენტების შეძენის.
ი. მაღრაძემ სრულად გაიზიარა თ. ავალიშვილის პოზიცია და მერის პირველი მოადგილის მისამართით დასვა შეკითხვა თბილისი - ქუთაისის მატარებლის განრიგთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში გავრცელებულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან ახალგაზრდები აღნიშნული მატარებლის გამო, რომელიც მათ მიერ გამოიყენება, როგორც იაფი ტრანსპორტი გადასაადგილებლად , როგორც აბიტურიენტებისათვის ასევე სტუდენტებისათვის,

რას აკეთებს ამ მიმართულებით მერია ასევე მან შეკითხვები დასვა ბორის პანსიონთან დაკავშირებით. დააყენა წინადადება შშმ პირთა დახმარების გაზრდის თაობაზე. მერიაში ბავშვთა განყოფილების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და სხვა.

შემაჯამებელ გამოსვლაში მან ფრაქციის სახელით სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასა.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ქუთაისი - თბილისის მატარებელთან დაკავშირებით მყარი ინფორმაცია არ მაქვს, რაც შეეხება ხაშური - ზესტაფონის მატარებლის განრიგს ჩარეულია დეპუტატი, მერი და გვაქვს ინფორმაცია, რომ უახლეს დღეებში მოგვარდება. ჩემი ხედვით დრეს თქვენი კითხვა რიგ საკითხებთან დაკავშირებით არის პოლიტიკური, თუ სადმე რაიმე დარღვევაა შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის უწყებებს. ვფიქრობთ ბავშვთა განყოფილება სოციალურ სამსახურს დაუქვემდებაროთ ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

დ. კიკნაძემ უპასუხა ი. მაღრაძეს და აღნიშნა, რომ 2015 წელს ბორის პანსიონში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარემონტდა ის ფართი, რომელშიც დღის ცენტრი უნდა განთავსებულიყო, არ იმუშავა ამ პროგრამამ, რადგან ზესტაფონს უკეთესი მომსახურება ჰქონდა იქ გადავიდნენ, ახლა იქ საბავშვო ბაღია განთავსებული, რა დაშავდა, რაც შეეხება პანსიონს 130 ბავშვი იკვებება ყოველდღიურად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ფინანსდება.

პ. გოგოლაძემ ფრაქციის სახელით სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითთა კომისიის თავმჯდომარის გივი თხელიძის დავით კიკნაძის, პაატა გოგოლაძის წინადადება,- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და მხარი დაუჭირეთ წარმოდგენილ ცვლილებებს

თ. ავალიშვილმა კითხვა დაუსვა მომხსენებელს სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხით სად მოხდებოდა წყლის სისტემის აღდგენა.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ ა.ა.ი.პ დასუფთავების დებულებაში შევიტანეთ ცვლილება და ფუნქციებში დაემატა სასმელი წყლის აღდგენის სამუშაოები ამჯერად მას მიეცა სუბსიდია და სადაც საჭირო იქნება იქ გამოიყენებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი
მომხრე22
წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**